

Solomon Tabutsadze

სოლომონ ტაბუცაძე

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

Georgia, Tbilisi

საქართველო, თბილისი

**A New Generic Form of the Novel –
Elene Bochorishvili’s Stenographic Novels
რომანის ახალი ჟანრული სახეობა –
ელენე ბოჭორიშვილის სტენოგრაფიული რომანები**

DOI: <https://doi.org/10.62119/cils.18.2025.10858>

Elene Pepi Bochorishvili is a Georgian writer born in Tbilisi, currently residing in Canada, who writes in Russian. She emigrated from Georgia in 1992. She is the founder of a new novelistic genre, which she herself termed the *stenographic novel*, characterized by writing based on short phrases and a humor-inflected style. The creative work of the Georgian writer clearly represents a multicultural literary phenomenon, in which Georgian ethnic themes are articulated within the context of global globalization. In stenographic novels, epochal historical events are presented in a condensed form; the narrative is primarily set in Georgia during the Soviet and post-Soviet periods.

Elene Bochorishvili's stenographic novels constitute a new genre of intercultural literature.

Keywords: Elene Bochorishvili; new genre – stenographic novel; intercultural literature

საკვანძო სიტყვები: ელენე ბოჭორიშვილი, ახალი ჟანრი – სტენოგრაფიული რომანები, კულტურათმორისი ლიტერატურა

სტენოგრაფიის ქრესტომათიული განმარტება ასე თუ ისე ყველამ ვიცით, მაგრამ მაინც შეგახსენებთ უკვე კარგად მოძველებული წიგნებიდან და ეს ნიშნავს განსაკუთრებული ნიშნებისა და შემოკლებების გამოყენებით ზეპირი მეტყველების სწრაფად ჩაწერის წესს ანდა, კიდევ უფრო მარტივი ახსნით – ეს არის საუბრის სწრაფად და ზუსტად ჩაწერის მეთოდი.

აი, სტენოგრაფიული რომანი კი დღემდე უცნობი იყო ჩვენთვის, მაგრამ თურმე ამ ჟანრის ტექსტებიც იქმნებოდა გასული საუკუნის მიწურულს და მისი ავტორი რუსულენოვანი კანადელი მწერალი, ქართული ფესვებით (ასე უწოდებს იგი თავის თავს), ელენე ბოჭორიშვილია. ჩვენს ლიტერატურულ სივრცეში უკვე რამდენადმე ცნობილი ეს ავტორი ფრიად საგულისხმო ფენომენია, რადგან იგი სამ სამყაროს წარმოადგენს – ქართულს, კანადურს და რუსულს და მისი შემოქმედებაც სწორედ ამ უკანასკნელი ენიდან ითარგმნება მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე.

ცხადია, პირველი სამყარო ქართულია, რადგან ქართველია, თბილისში დაბადებული, თბილისის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი დაუმთავრებია, აქვე უმუშავია ჟურნალისტად და დოკუმენტური ფილმების სცენარისტად. თბილისში იცნობდნენ პეპიდ და ასტრიდ ლინდგრენის პერსონაჟის ეს სახელი „მოლოდიოჟ გრუზიის“ რედაქციაში შეურქმევიათ, როგორ

ჩანს თავის ჟღალი თმის გამოც, გარდა იმისა, რომ, როგორც წერენ, ყოფილა ენერგიული, მზი-
არული და ნიჭიერი, უჩვეულოდ ჩაცმული, ყველასგან გამორჩეული.

იმასაც აღნიშნავენ, რომ ცამეტი წლის ასაკიდან რუსულად წერდა სტატიებს. ესე იგი მისი
მეორე სამყარო რუსულია და სწორედ ამიტომ ძველი თაობის ხალხს ახსოვს სსრკ-ს მთავარი სპორ-
ტული გაზეთი, „სოვეტსკი სპორტი“ და ელენე ამ გაზეთის ერთ-ერთი პირველი უცხოელი კორეს-
პონდენტი ყოფილა.

დღესდღეობით რუსეთში გამოცემულია მისი „Только ждать и смотреть“ და „Голова моего от-
ца“, რომელთაც არა მხოლოდ ფართო პუბლიკის, არამედ თანამედროვე რუსული მწერლობის მსხვი-
ლი წარმომადგენლების მაღალი ყურადღებაც დაუმსახურებიათ.

მესამე სამყაროც რომ ვთქვათ – ეს არის კანადა, სადაც 1992 წელს წასულა ემიგრაციაში. ჰყავს
ფრანგული წარმომავლობის კანადელი მეუღლე და ვაჟი.

ელენეს პირველი რომანი სახელწოდებით „ჟუჟუნა წვიმა“ 1997 წელს დაუწერია.

და რაც მთავარია, იგი არის ახალი ჟანრის – **სტენოგრაფიული რომანის** დამამკვიდრებელი,
რომელიც გულისხმობს მოკლე ფრაზებითა და იუმორნარევი სტილით წერას. ასეა შექმნილი მისი
ყველა ნაწარმოები („მამაჩემის თავი“, „ჯადოსნური მალამო“, „ჩემი ტკბილი ბებრუცუნები“, „ოპე-
რა“, „ჟუჟუნა წვიმა“, „მშვენიერი ცხოვრება“, „მხოლოდ ლოდინი და ყურება“, „ფაინა, ანუ როიალის
ამბავი“, „სოვკი“).

ელენე ერთ-ერთ ინტერვიუში თავის ლიტერატურულ სტილს ასე ახასიათებს: „ვფიქრობ,
ყოველ ახალშობილ ბავშვში რაღაც რიტმებია ჩადებული. ბავშვი ამ რიტმს ან გარეთ გამოუშვებს, ან
შიგნით დაიტოვებს. ჩემშიც არსებობს რიტმი, რომელიც თავისი ცხოვრებით ცხოვრობს, მე მასში
სიტყვებს ვდებ. რიტმს ვერ შეცვლი, ის სტილივითაა, მოდის და მორჩა. ერთადერთი, რაც დროთა
განმავლობაში იცვლება, ის არის, რომ შენ შენსავე რიტმს უმეგობრდები. თანდათან უკეთ გესმის არსი
და, შესაბამისად, მოკლდება მანძილი სათქმელსა და რეალურად ნათქვამს შორის, არ მიყვარს წიგნში
ზედმეტი „არასაჭირო“ ნაწყვეტები, რომლებიც ტექსტში მხოლოდ იმ მიზნით შეაქვთ, რომ წიგნს წონა
შესძინონ. რიტმი მნიშვნელოვანია. ზოგჯერ ვითვლი რიტმს, ვითვლი ბგერებს წინადადებაში...“

თვითონ ეს სახელდება – **სტენოგრაფიული რომანი** მწერლისავე ტექსტიდან არის აღებული.
რომანს „მამაჩემის თავი“ მთხრობელი ასე ასრულებს:

„დედაჩემი ახლა ჩვენგან ხუთი წუთის სავალზე, მოხუცთა სახლში ცხოვრობს. ამ დი-
ლით ველაპარაკე.

– რაზე წერ? – მკითხა. <...>

– არაფერზე, – ვუპასუხე მე. – ვწერ იმაზე, როგორ ცეკვავდნენ და როგორ უყვარდათ
საბჭოთა კავშირში. გახსოვს? როგორ იმ ფილმებშია, ნახვა რომ გვიშლიდნენ.

გაეცინა. <...>

– უნდა დაწერო იმაზე, როგორ ვშრომობდით და როგორ ვიბრძოდით, – მირჩია
დედამ. <...>

– ოდესმე დაწერო რომანს შენზე და მამაზე, – ვუთხარი. <...> პატარა რომანს, პოემასა-
ვით, მხოლოდ ყველაზე საინტერესო მომენტებით. რომანს სტენოგრაფიად.

– რატომ სტენოგრაფიად? – აღშფოთდა დედა. – დაწერე დიდი რომანი! და მძიმე, რომ
იმით კაკლის დამტკრევა შეიძლებოდა!“

აქვე იმის აღნიშვნაც შეიძლება, რომ დედის სიტყვებში – „უნდა დაწერო იმაზე, როგორ ვშრო-
მობდით და როგორ ვიბრძოდით“-ო, ნათლად გამოსჩანს საბჭოურ ხანაზე ნოსტალგია, რომელიც
პოსტსაბჭოურ ეპოქაში გამძაფრდა და ამის მაგალითებად რუსი მწერლების ტექსტებიც შეიძლება
გავიხსენოთ. როგორც ალენა ლედენევა, ლონდონის საუნივერსიტეტო კოლეჯის პოლიტიკისა და
საზოგადოების პროფესორი, აღნიშნავს: „საბჭოთა ნოსტალგია ასახავს ლტოლვას წარსულის ეპო-
ქის გარკვევისკენ, მიუხედავად მისი წინააღმდეგობებისა. წარსულისკენ ლტოლვა, იმავდროულად,
გულისხმობს აწმყოს ასპექტების კრიტიკას“ (ლომძიე, 2025). საერთოდ კი საბჭოთა ნოსტალგიისა

და დოკუმენტური ბიოგრაფიული პროზის კვეთა თანამედროვე ლიტერატურაში ასახავს ლიტერატურული გამოხატვის დინამიკურ ევოლუციას. ინტროსპექციის, კულტურული კრიტიკისა და ნარატიული ტექნიკის მეშვეობით ავტორები აგრძელებენ ადამიანის გამოცდილებისა და მეხსიერების სიღრმეების კვლევას. ეს ნარატივები არის როგორც ჩვენი კოლექტიური წარსულის ანარეკლი, ასევე მუდმივად ცვალებად სამყაროში თხრობის შესაძლებლობების დასტური.

ელენე ბოჭორიშვილის ტექსტების განხილვისას შეიძლება თანამედროვე ლიტერატურის ჰიბრიდულ ფორმებზე გვესაუბრა და ეს ე.წ. ჰიბრიდული ტექსტები ქმნის საზოგადოდ ლიტერატურის ახალ განზომილებას. ჰიბრიდული ფორმატის პოსტკოლონიური კულტურა ახალი ტიპის კულტურაა, რომელიც იბადება კოლონიების კულტურების ერთმანეთთან შეჯახების, შერწყმისა და ტრანსფორმაციის შედეგად და ეს ყველაფერი ხდება მე-20 საუკუნის იმპერიების დაშლის შემდეგ, რაც ქმნის ე.წ. „მესამე სივრცეს“. ადგილობრივი და ევროპული თუ საზოგადოდ დასავლური სოციოკულტურულ სივრცეთა ურთიერთმიმართების შედეგად ყალიბდება ხშირად წინააღმდეგობრივი, შრეობრივი სურათი და იბადება ახალი იდენტობაც. ამგვარი ტიპის კულტურის რამდენიმე ძირითად მახასიათებელს გამოყოფენ და ესენია: ა) შერწყმა; ბ) „მესამე სივრცე“; გ) იდენტობის კრიზისი/შექმნა; დ) წინააღმდეგობრივი ბუნება; ე) მეტროპოლიის კულტურის რეპროდუქცია და გარდაქმნა. ამ ინდიკატორთაგან თუ რომელიმეს მისადაგებას მოვიხდომებით ელენე ბოჭორიშვილის ტექსტებთან, ალბათ, უფრო რელევანტური ნიშანი იქნებოდა „შერწყმა“ და ესეც მხოლოდ გარკვეული პირობითობით, რადგან ეს ტექსტები საბჭოთა მეტროპოლიის ენაზე შემნილი. ეს მახასიათებელი გულისხმობს ადგილობრივი კულტურული ელემენტების (ტრადიციების, ენის) შერწყმას კოლონიზატორის კულტურულ ნიშნებთან, და ამიტომაც მივიჩნით შესაძლებლად ელენე ბოჭორიშვილის – ქართულ გამოცდილების მქონე მწერლის რუსულ ენაზე შექმნილი ტექსტები ამ ტიპის კულტურის ერთ-ერთი ინდიკატორის ნიმუშად. საქმე გვაქვს, რასაკვირელია, მულტიკულტურულ მოვლენათან, რაც თანამედროვე სამყაროსათვის ტიპური მოვლენაა და ეს ყველაფერი განპირობებულია პოლიტიკურ-ეკონომიკური ფაქტორებით. ამ შემთხვევაში უნდა ვილაპარაკოთ ლიტერატურის მრავალმხრივობასა და დისკურსებით გამდიდრებაზე. საბჭოთა კოლონიური ეპოქის ლიტერატურის ბილინგვიზმიც ჰიბრიდული მხატვრული კულტურის სივრცეში უნდა მოვიაზროთ: „უცხო ენებზე მოდვანე ქართველი მწერლების შემოქმედება მკაფიოდ გამოხატული მულტიკულტურული ლიტერატურული მოვლენაა. მასში ასახვას ჰპოვებს ქართული ეთნიკური თემატიკა მსოფლიო გლობალიზაციის კონტექსტში; წარმოჩენილია მიმართება როგორც ლოკალურ, ასევე მსოფლიო სოციალურ-პოლიტიკურ თუ კულტურულ მოვლენებთან; ქართული თემები და არქექტიპები ამ ნაწარმოებში ჰარმონიულად ასიმილირდება ზოგადსაკაცობრიო მსოფლიო თემებთან თუ სახეებთან (ანთიმე, 2024).

ელენე ბოჭორიშვილის მხატვრული ტექსტი პირველად 2010 წელს გამოჩნდა ქართულ ლიტერატურულ სივრცეში და ეს იყო მცირე მოცულობის რომანი „ოპერა“, რომელიც „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“-მ გამოსცა. ეს, ასე ვთქვათ, ჯერ კიდევ არ არ იყო „სტენოგრაფიული რომანი“ და 90-იანი წლების თბილისის „გარედან“ დანახული მხატვრული სურათია. 2016 წელს გამოვიდა მწერლის „სტენოგრაფიული რომანები“, რომლის წინასიტყვაობაშიც ელენე ბოჭორიშვილი ჟანრის პიონერად გამოცხადდა: „მან დააარსა რომანის ახალი სახეობა, Roman stenographique – სტენოგრაფიული რომანი, რომელშიც ვერ იპოვით დეტალურ აღწერებსა და ვრცელ განსჯებს. დახვეწილი მოკლე ფრაზები და როგორც ძველი ბერძნები ამბობენ, mede agan, არაფერი ზედმეტი. მოკლე ფრაზები და იუმორი. იუმორით შეფერილი რიტმი, რომელიც საკუთარი ცხოვრებით ცხოვრობს“ (ბერძენიშვილი, 2016, გვ. 10).

ლევან ბერძენიშვილი მსჯელობს ამ ჟანრის წყაროსთავზე და წერს, რომ იგი სათავეს იღებს რიტორიკაში აზიანისმისა და ატიციზმის ძველი დაპირისპირებიდან. აზიანურ სტილში კულტივირებული იყო პარალელიზმებითა და ანტითეზებით შემკული გრძელი პერიოდები, რიტმული პროზა და სიტყვათა თამაში. ატიციზმი კი უარს ამბობდა ელინისტური სტილის ღვლარჭილობაზე და ამკვიდრებდა კლასიკურ წყობას. „*პეტი ბოჭორიშვილმა ერთმანეთს შეურწყა აზიანური სტილის რიტმიკა, ატიკური სტილის კონკრეტული და ყველაფერი ეს ლაკონურად გააფორმა.*

სამმა სამყარომ მართლაც მოიყარა თავი: თანდაყოლილი ქართლი რიტმი, რუსული სიტყვის სიზუსტე და ფორმის კანადური (ფრანგული) კონკრეტულობა“ (ბერმენიშვილი, 2016, გვ. 11).

ელენე ბოჭორიშვილის სტენოგრაფიულ რომანებში ეპოქალური მოვლენებია კონდენსირებული წარმოდგენილი: ოჯახი, სიყვარული, ტრაგედია, სიკვდილი, ნგრევა. თხრობა ძირითადად საქართველოში, საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ეპოქაში მიმდინარეობს. აქ მნიშვნელოვანია იმაგოლოლოგიური მომენტი: ავტორი მოვლენებს აღწერს სხვა პერსპექტივიდან, უცხო თვალთახედვიდან (კარტოზია 2016: 263). ეპოქების ძირითადი აქცენტები პერსონაჟების ქცევისა და დიალოგებითაა გადმოცემული. რომანის „მთავარი გმირი“, გაბმული ფონი და ძირითადი სურათი საბჭოთა კავშირია: „უნდა ვთქვა, რომ მაშინ, იმ მომენტში, არ მიგრძენია, რასაც ახლა ვგრძნობ. მრავალი წლის მერე ჩემში ერთდროულად ცოცხლობს სიძულვილი და სიყვარული საბჭოთა კავშირის მიმართ. განვიცდი იმ ქვეყნის სიკვდილს, სადაც დავიბადე, ისევე, როგორც შეიძლება განიცადო საყვარელი ადამიანის გარდაცვალება, ძალიან რომ იტანჯებოდა, და შენც გინდა მოკვდეს, იმიტომ, რომ გიყვარს“ (ბოჭორიშვილი, 2016, გვ. 64-65).

ელენე ბოჭორიშვილის სტენოგრაფიული რომანები ახალი ჟანრის ინტერკულტურული ლიტერატურაა. ევროპაში მის რომანებს იცნობენ ფრანგული თარგმანების წყალობით. არსებობს ელენეს რამდენიმე ნაწარმოების იტალიური, რუმინული, პორტუგალიური, ჩეხური და ქართული თარგმანები.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ანთიძე, ლ. ელენე ბოჭორიშვილის სტენოგრაფიული რომანები მულტიკულტურალიზმის ჭრილში და ჰიბრიდული ლიტერატურის ნიშანდობლივი კონცეპტები. <https://acgs.ug.edu.ge/ka/speaker/8>
- ანთიძე, ლ. (2024). ჰიბრიდული ლიტერატურის ნიშანდობლივი კონცეპტები: ქართული მაგალითი (ნინო ხარატიშვილის რომანი „მერვე სიცოცხლე (ბრილკას)“. <https://shorturl.at/fC0GV>
- ბერმენიშვილი, ლ. (2016). სტენოგრამის მაგია (ელენე ბოჭორიშვილის პროზა). ბოჭორიშვილი ელენე პეპი. სტენოგრაფიული რომანები. თბილისი: „სეზანი“.
- ბოჭორიშვილი ე. (2016). პეპი. სტენოგრაფიული რომანები. თბილისი: „სეზანი“.
- ლომიძე, გ. (2025). მოგზაურობა მეხსიერებაში. არილი, 24/07/2025 <https://shorturl.at/pFhzt>
- კაკაბაძე, დ. (2016). პეპი, კიდევ დაწერე რამე! ბოჭორიშვილი ელენე პეპი. სტენოგრაფიული რომანები. თბილისი: „სეზანი“.
- ალ., ჩიტაური, ნ., შამანაძე, შ., პოპიაშვილი, ნ., მოდებაძე, ი., გაგოშაშვილი, ნ. (2016). ქართული მწერლობის ინტერკულტურული მოდელი და ნაციონალური იდენტობის პრობლემა. თბილისი: „უნივერსალი“, (263-265).

References:

- Antidze, L. Elene Boch'orishvilis st'enograpiuli romanebi mult'ik'ult'uralizmis ch'rilshi da hibriduli lit'erat'uris nishandoblivi k'ontsep't'ebi. [Elene Bochorishvili's Short Story Novels in the Context of Multiculturalism and Notable Concepts of Hybrid Literature]. <https://acgs.ug.edu.ge/ka/speaker/8>
- Antidze, L. (2024). Hibriduli lit'erat'uris nishandoblivi k'ontsep't'ebi: kartuli magaliti (Nino Kharat'ishvilis romani „merve sitsotskhle (brilk'as)“. [Notable Concepts of Hybrid Literature: Georgian Example (Nino Kharatishvili's Novel "The Eighth Life (Brilka)"]]. <https://shorturl.at/fC0GV>
- Berdzenishvili, L. (2016). St'enogramis magia (Elene Boch'orishvilis p'roza). Boch'orishvili, E. p'ep'i. st'enograpiuli romanebi. [The Magic of Shorthand (Elene Bochorishvili's Prose). Bochorishvili Elene Pepi. Shorthand Novels]. Tbilisi: „sezani“.
- Boch'orishvili, E. (2016). P'ep'i. St'enograpiuli romanebi. [Pepi. Shorthand Novels]. Tbilisi: „sezani“.
- Lomidze, G. (2025). Mogzauroba mekhsierebashi. [Journey into Memory]. Arili, 24/07/2025 <https://shorturl.at/pFhzt>
- K'ak'abadze, D. (2016). P'ep'i, k'idev dats'ere rame! boch'orishvili elene p'ep'i. st'enograpiuli romanebi. [Pepi, Write Something More! Bochorishvili Elene Pepi. Shorthand Novels]. Tbilisi: „sezani“.
- K'art'ozia, Al., Chit'auri, N., Shamanadze, Sh., P'op'iashvili, N., Modebadze, I., Gagoshashvili, N. (2016). Kartuli mts'erlobis int'erk'ult'uruli modeli da natsionaluri ident'obis p'roblema. [Intercultural Model of Georgian Writing and the Problem of National Identity]. Tbilisi: „universali“, (263-265).